ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29240667**
თარიღი:**06/03/2024**

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 თებერვლის N 28-28240508 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში არსებული 19.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე [redacted] (პ/ნ [redacted]).

**მუხლი 2.** 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

**მუხლი 3.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM